მიხეილ ბახტაძე. ისტორიის მეცნიერებატა დოქტორი. თსუ.

1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში

1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას ქართული საბჭოთა ისტოროგრაფია ცალსახადა უარყოფითად აფასებდა. უწოდებდა მას ავანტიურას, რომელიც მოაწყვეს მენშევიკებმა, თავად-აზნაურებმა და ბურჟუაზიულმა ელემენტებმა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან შესაძლებელი გახდა რეალური ისტორიის დაწერა და თავსმოხვეული შეფასებებისაგან გათავისუფლება.

ქართველი მეცნიერ-მკვლევარები ცხადია დაინტერესდნენ 1924 წლის აჯანყების რეალური სურათის აღდგენით და ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. შეიცვალა საკითხისადმი მიდგომები და შეფასებები. ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა როგორც აჯანყებასტან დაკავშირებული ცალკეული კონკრეტული საკითხების, ასევე ზოგადად აჯანყების შეფასების საკითხში. დღეს არსებული მოსაზრებები აჯანყების შეფასებასთან დაკავშირებით პირობითად შეგვიძლია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ.

პირველ ჯგუფში შეიძლება შევიყვანოთ ის მეცნიერ-მკვლევარები რომლებიც თვლიან, რომ მართალია აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეს იყო მნიშვნელოვანი, გმირული მოვლენა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. აჯანყებამ ყველას დაანახა, რომ ქართველი ერი არ შეეგუებოდა თავისუფლების დაკარგვას. ეს აჯანყება მაგალითი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი პერიოდის მოღვაწეთათვის. **რ.გრძელიძე** - „იგი უნდა შეფასდეს როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული აჯანყება, რომელიც მართალია დამარცხდა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში“[1]; **ნ.კირთაძე** - „ამ აჯანყებას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი. XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყებას წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. ეს ეპოქა გმირობისა და თავდადების მაგალითს აძლევდა მომავალ თაობებს“[2]. „ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება, აჯანყება ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის“[3]. **ე.ნარიმანიძე** - „იგი ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნის -

[1] რ.გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბ. 1992 წ. გვ. 38
[2] საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თბ. 2003 წ. გვ. 130
[3] ნ.კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთ. 1996 წ. გვ. 186

სამშობლოს „აღდგომა-გამოხსნისათვის“ ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება იყო. ამიტომ იგი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული აჯანყება, რომელიც, მართალია დამარცხდა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს პილიტიკურ ისტორიაში“[1]. **ტ.ბერიშვილი** - „1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ეროვნული აჯანყება, რომელმაც მხოლოდ რამოდენიმე დღით გაათავისუფლა ქვეყნის ნახევარი, ქართველთა წინააღმდეგობის ამაღელვებელი მაგალითია ... 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ეროვნული აჯანყების თარიღი რუსი დამპყრობლების წინაშე ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის ნების გამოვლენის სიმბოლოა“[2]. **ო.ჯანელიძე** - „ეს იყო თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აზვირთებული საერთო-სახალხო შემართება, რომელმაც საქვეყნოდ ცხადყო, რომ ქართველი ერისთვის თავისუფლება ... სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.“[3] **ლ.ჯიქია** - „1924 წლის აჯანყება 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის კულმინაციას წარმოადგენდა. მართალია 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები გადაჭარბებულად აფასებდნენ ევროპის როლს „საქართველოს საკითხში“, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების „ავანტიურისტებად“ და 1924 წლის აჯანყების „ავანტიურად“ მონათვლა ნამდვილად ისტორიული უსამართლობა იქნება. 1924 წლის აჯანყების მონაწილეები ისეთივე გმირები არიან საქართველოსი, როგორც ცოტნე დადიანი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვ.“[4] თუმცა ამასთან ერთად მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ აჯანყების ხელმძღვანელებს „ჰქონდათ შეცდომები; შესაძლოა რიგ შემთხვევებში მათ რეალობის გრძნობაც ღალატობდათ, ან სათანადო ინფორმნაციას არ ფლობდნენ რეალური საერთაშორისო ვითარების შესახებ; ისიც დასაშვებია, რომ აჯანყებულები გადაჭარბებით აფასებდნენ ქართველი ხალხის ანტირუსუსლ და ანტიბოლშევიკურ რესურსებს.

---

[1] ე.ნარიმანიძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2000 წ. გვ. 194

[2] ტ.ბერიშვილი, 1924 ეროვნული აჯანყება საქართველოში. პარიზი-თბილისი 2013 წ. გვ. 11-12

[3] ზ.აბაშიძე, მ.ბახტაძე, ო.ჯანელიძე, საქართველო და ქართველები თბ. 2012 წ. გვ. 623

[4] ლ.ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2012 წ.

ასეთ შემთხვევაში ... არსებობს ცნებები: პოლიტიკური რომანტიზმი, პოლიტიკური იდეალიზმი, პოლიტიკური ირაციონალიზმი“[1].

მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ის მეცნიერ-მკვლევარები რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აჯანყებას შეცდომად მიიჩნევენ, აღნიშნავენ საქართველოში ვითარების კიდევ უფრო გაუარესებას და ყურადრებას ამახვილებენ აჯანყების უარყოფით შედეგებზე. **ვ.ბენიძე** - „1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებით ძირითადად დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისათვის აქტიური ბრძოლის მეორე ეტაპი. ამავე დროს, ოციანი წლების პირველი ნახევრის გამუდმებულმა შეიარაღებულმა გამოსვლებმა და სხვა აქციებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინეს საქართველოს პოლიტიურ ცხოვრებაზე. გარდა იმისა, რომ არნახული უმკაცრესი რეპრესიების გამო გაურკვეველი დროით შეფერხდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი“[2]; **თ.ენდელაძე** - „საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური შეიარაღებული გამოსვლა საქართველოში მარცხით დამთავრდა. დამარცხების მიზეზთა საფუძველი საბჭოთა კავშირისა და მისი ძალოვანი სტრუქტურების აღმავალ სიძლიერესა და აჯანყების ეროვნულ ძალთა ორგანიზატორების შეცდომებში უნდა ვეძიოთ. ჩვენმა ხალხმა პატრიოტული თავდადების გმირული მაგალითები გამოავლინა, მაგრამ საქართველოს გათავისუფლებისათვის საჭირო საერთაშორისო მხარდაჭერის არარსებობის პირობებში ქართველთა თავგანწირვას, სამწუხაროდ, არ ძალუძდა შეესრულებინა გადამწყვეტი როლი საბჭოთა უღლისაგან გათავისუფლების საქმეში“[3]; **ა.სურგულაძე და პ.სურგულაძე** - „ამ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებელი გამოსვლა, მისი ძალების სრული კონსოლიდაციის ვითარებაშიც კი განწირული იყო. დამარცხების შემაპირობებელი ეს ფაქტორები უფრო ნათელი გახდა 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც 1921-1924 წლების ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდა, კრიტიკულად შეხედა მის ტაქტიკას და დროებით უკუაგდო იგი“[4]; **მ.სამსონაძე** - „აჯანყების ადგილობრივ თუ საზღვარგარეთელ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველო რუსეთის უღელს ვერ გადაიგდებდა,

---

[1] დ.შველიძე, ნ.ჯავახიშვილი, ბ.კუპატაძე. 1924 წელი დღევანდელი გადასახედიდან. გაზეთი 24 საათი 2004 წ. № 206 31 აგვისტო.

[2] ვ. ბენიძე 1924 წლის აჯანყება საქართველოში თბ. 1991 წ. გვ. 32

[3] თ.ენდელაძე, ტრაგიკული 1924 თბ. 2004 წ. გვ. 43

[4] სურგულაძე ა. სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი 1783-1990) თბ. 2013 წ. გვ. 257

ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ აჯანყების თვით ფაქტის დაფიქსირებას, რათა ევროპის ყურადღება მიექციათ და დახმარების პერსპექტივა გაჩენოდათ. ამგვარმა ანგარიშებმა განსაზღვრეს განწირული წამოწყების გაგრძელება, რომელსაც ასობით პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა ... აჯანყების მაგალითმა ცხადი გახადა, რომ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა თვითმკვლელობას უდრიდა. საჭირო იყო წინააღმდეგობის სხვა გზების ძიება"[1]; **ნ.ბენდელიანი** - „1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულმა მასობრივმა რეპრესიებმა, მათ შორის უდანაშაულოთა რეპრესიებმა, კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური ვითარება. ხალხი დრტვინავდა, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავდა"[2]; **ლ.ეძგვერაძე** - „1924 წელს ქართველთა მიერ გაღებული მსხვერპლი, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ დაიკარგა. ეროვნულმა ძალებმა ამ ეტაპზე გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს. ხალხში ბიოლოგიურმა შიშმა და უსაზღვრო იმედგაცრუებამ დაისადგურა. აქა-იქ შემორჩენილი პატრიოტული ძალები იძულებული გახდნენ, შემრიგებლური ნიღაბი მოერგოთ ... უდავო ჭეშმარიტებაა, რომ 1924 წლის აჯანყებას არ გააჩნდა გამარჯვების არავითარი რეალური შანსი"[3].

მესამე ჯგუფში ალბათ ის მეცნიერ-მკვლევარები უნდა გავაერთიანოთ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აჯანყებაში იყო ავანტიურიზმის ელემენტები და ის მეტ-ნაკლებად ინსპირირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. აჯანყების შემდეგ კი კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. **გ. ციციშვილი** - „ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება ეროვნული პატრიოტიზმისა და სუვერენიტეტის მისწრაფებას ეფუძნებოდა, მაგრამ ხელმძღვანელთა ერთი ნაწილის პატრიოტულ ავანტიურიზმსაც ავლენდა ... 1924 წლის აჯანყებას ავანტიურის შინაგანი ნაკადიც ახასიათებდა"[4], ზოგი ისტორიკოსი ვერ გარკვეულა და „1924 წლის აჯანყებას შეცდომით აცხადებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არა ტრაგიკულ, არამედ სამაგალითო დაგვირგვინებად"[5], „1924 წლის აჯანყება ჩეკას ორგანოების მიერ იყო პროვოცირებული და მასშტაბურად დარეგულირებული -

[1] სამსონაძე მ. საქართველო 1921-1991 წლებში (პროექტი) თემა დისპუტისთვის თბ. 2001 წ. გვ. 4-5
[2] ნ.ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. ქუთ. 1993 წ. გვ. 67
[3] ლ. ეძგვერაძე, 1924 წლის აჯანყების ასახვა ქართულ ლიტერატურაში. დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1996 წ. გვ. 21-22
[4] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 6
[5] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 16

შეზღუდულიც“[1], „ამ ავანტიურის სათავე ის არის, რომ რადიკალურ და ექსტრემისტულ ელიტას აჯაყების უცილო წარმატებულობის მისახვედრად ცოდნაც გააჩნდა და სათანადო ინფორმაციაც. ისტორიის წყაროები გვისაბუთებენ, რომ ხელმძღვანელთაგან აჯანყების მეშვეობით საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოგლეჯვის და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის ილუზია თითქმის არავის გააჩნდა“[2], „რადიკალურ-ექსტრემისტული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის (ნ.რამიშვილი და კომპანია), ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტ-ავანტურისტი ლიდერების (კ.ანდრონიკაშვილი, ი.ჯავახიშვილი, მ.იშხნელი და სხვ.) მიერ იყო პროვიცირებული“[3], „აჯანყებამ დიდი უბედურების გარდა, რამე რეალური დადებითი შედეგები ქართველ ხალხს ვერ მოუტანა“[4]; **კ.წენგუაშვილი** - „ვივარაუდოთ და ჰიპოთეზის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ 1924 წ. აჯანყება გარკვეულწილად ინსპირირებული იყო როგორც საბჭოთა სახელმწიფოს, ისე მისი სპეცსამსახურების მიერ, რადგან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მენშევიკური ზეგავლენის განეიტრალება ახალი ხელისუფლების სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ... ასეთ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა მენშევიზმის გავლენის ამოძირკვა, რაც საკმაო პრობლემას წარმოადგენდა, ამასთან სოციალურად გატანჯული მოსახლეობის ყურადღების გადატანას „კონტრრევოლუციურ აჯანყებაზე“, რომლის ლიკვიდაცია ფართოდ გაუხსნიდა გზას რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, გამოავლენდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცენტრს და ყველა ლიდერს, გამოააშკარავებდა მოკავშირეებსა და მათთან დაკავშირების საშუალებებს, რაც საბოლოოდ განამტკიცებდა საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას“[5]; **ა.დაუშვილი** - „ბოლო წლებში წლებში ქართველ ისტორიკოსთა შორის სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი, რომ 1924 წლის აჯანყება პროვოცირებული იყო კომუნისტური ხელისუფლების მიერ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ არაკომუნისტურ ოპოზიციას, დაენერგათ ქვეყანაში „შიშის სინდრომი“, დაეშინებინათ ინტელიგენცია და მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უზრუნველეყოთ პირობები კომუნისტური მიზანდასახულობათა

[1] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 33

[2] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 43

[3] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 44

[4] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 57

[5] კ.წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორის ისტორიოგრაფია. თბ. 2005 წ. გვ. 96-97

განსახორციელებლად. ფაქტები ადსტურებს, რომ ყველა ეს ამოცანა მეტ-ნაკლები წარმატებით გადაიჭრა და ქვეყანაში დამკვიდრდა „პროლეტარული დიქტატურა“, ანუ ერთი პარტიის - კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება“[1]. აუცილებად უნდა აღინიშნოს რომ ჩვენს მიერ მესამე ჯგუფში შეყვანილი ავტორებიც აღიარებენ აჯანყების მეთაურთა თუ რიგით მონაწილეთა თავდადებას, გმირობას და პატრიოტიზმს. გ. ციციშვილი - „ავანტურისტული ტაქტიკის ექსტრემისტებს, გმირებად ვასახელებ“[2]; ა.დაუშვილი - „„როგორც საქართველოდან გასულთ, ისე რეპრესირებულთ სწამდათ, რომ მართალი საქმისთვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. 1924 წლის აჯანყებით დასრულდა საქართველოში ეროვნულ-გამათავისფლუბელი მოძრაობის ერთი ეტაპი“[3]. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ შუძლებელია აჯანყების ხელმძღვანელებს ერთდროულად ვუწოდოთ გმირებიც და ავანტიურისტებიც. „ამ ორი ანტიპოდური ცნების გაიგივება წარმოუდგენელია, ნონსენსია“[4].

რა შეიძლება ითქვას ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მოსაზრებებთან დაკავშირებით. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ადვილია აჯანყების შეფასება 90 წლის შემდეგ. თუ გვინდა 1924 წლის აჯანყების შეფასება, თავი უნდა წარმოვიდგინოთ ამ აჯანყების თანამედროვედ და იქიდან ვცადოთ მოვლენის გაგება და შემდეგ შეფასება.

ალბათ არავის არაფერი ექნება სადავო მკვლევართა იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ აჯანყება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი ეტაპი, გმირობისა და თავდადების მაგალითი და მართლაც წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. ეს ნამდვილად ასეა.

რაც შეეხება ჩვენს მიერ მეორე ჯგუფში გაერთიანებულ მეცნიერ-მკვლევარებს, ისინი აფიქსირებენ აჯანყების შემდეგ შექმნილ ვითარებას, ასახელებენ მარცხის მიზეზებს. მათი მოსაზრებებიდან ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ აჯანყების მოწყობა მცდარ გადაწყვეტილებად მიაჩნიათ, რადგან აჯანყების შედეგად მიაჩნიათ რეპრესიების გაძლიერება და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება საქართველოში. ფაქტია, რომ აჯანყების მარცხმა

[1] ა. დაუშვილი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. 4 თბ. 2012 წ. გვ. 290

[2] გ. ციციშვილი სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ თბ. 2004 წ. გვ. 54

[3] ა. დაუშვილი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. 4 თბ. 2012 წ. გვ. 290

[4] დ.შველიძე, ნ.ჯავახიშვილი, ბ.კუპატაძე. 1924 წელი დღევანდელი გადასახედიდან. გაზეთი 24 საათი 2004 წ. № 206 31 აგვისტო.

დიდი დარტყმა მიაყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. გაძლიერდა რეპრესიები და განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ კმარა კი ეს იმისთვის რომ უარყოფითად შევაფასოთ თავად მოვლენა? ალბათ არა. ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მეცნიერის ცალკეულ მოსაზრებებს. მაგ. „უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი“ - რომელი საქართველოს რომელის სახელმწიფოებრიობის? დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო აღარ არსებობდა და საბჭოთა საქართველოს ფორმალურ სახელმწიფოებრიობას აჯანყების მარცხი ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. „აჯანყების ადგილობრივ თუ საზღვარგარეთელ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველო რუსეთის უღელს ვერ გადაიგდებდა, ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ აჯანყების თვით ფაქტის დაფიქსირებას, რათა ევროპის ყურადღება მიექციათ და დახმარების პერსპექტივა გაჩენოდათ“ - გამოდის, რომ აჯანყების ხელმძღვანელებმა შეგნებულად გაწირეს ხალხი სასიკვდილოდ. მაშინ ისინი დამნაშავეებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, დღეს შეუძლებელია მტკიცება იმისა აჯანყების უშალო ხელმძღვანელებიდან ვის ეჯერა გამარჯვებისა და ვის არა. უბრალოდ ჩვენ ვფიქრობთ რომ მათ უმეტესობას სწამდა გამარჯვების შესაძლებლობის. დღევანდელი გადასახედიდან ცხადად ჩანს, რომ გამარჯვება შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ პროცესში ჩართულთათვის ეს ასე არ იყო.

მესამე ჯუფის წარმომადგენლები ყველაზე კრიტიკულად და გარკვეულწილად უარყოფითად არიან განწყობილი როგორც აჯანყების ხელმძღვანელების, ასევე თავად აჯანყების იდეის მიმართ. მათი ერთ-ერთი უმთავრესი თეზისია, რომ აჯანყების პროვოცირება მოახდინა საბჭოთა ხელსუფლებამ და ამაში გამოიყენა აჯანყების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი. საბჭოთა ხელისუფლებას რომ ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი აჯანყების შესახებ და თავისი აგენტებიც ყავდა შეგზავნილი ეს ცხადია. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არსებული მასალები იძლევა საფუძველს გამოითქვას ვერსია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აჯანყების შესაძლო პროვოცირების შესახებ. თუმცა ეს სრულიადაც არ აკნინებს აჯანყების ხელმძღვანელთა და მით უმეტეს აჯანყების მონაწილეთა თავდადებას. მათ ხომ არ ქონდათ ის ინფორმაცია რაც ჩვენ გვაქვს? გარდა ამისა არც ისაა ბოლომდე გარკვეული თუ რა სახით და რა დოზით ახერხებდა საბჭოთა ხელისუფლება აჯანყების მომზადების პროცესში გავლენის მოხდენას კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაზე. შეეძლო კი მას რეალურად მისთვის სასურველი მიმართულებით წარემართა პროცესი? ერთია აგენტურული ინფორმაციის მიღება და მეორეა გავლენის მოხდენა პროცესზე. რაც შეეხება ავანტიურისტული ელემენტის არსებობას. ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. იყო შეცდომები, გულუბრყვილობა, მაგრამ არა ავანტიურიზმი. თუ

დავუშვებთ, რომ აჯანყების ხელმძღვანელები დარწმუნებული იყვნენ მარცხში და მაინც აჯანყდნენ, მაშინ ისინი ავანტიურისტები კი არა დამნაშავეები და მოღალატეები ყოფილან. გარდა ამისა ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, მარცხში დარწმუნებულმა ხელმძღვანელებმა რატომ გაწირეს სასიკვდილოდ არა მარტო აჯანყების რიგითი მონაწილეები არამედ საკუთარი თავიც? ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ აჯანყების შემდეგ „ქვეყანაში დამკვიდრდა „პროლეტარული დიქტატურა“, ანუ ერთი პარტიის - კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება“. კომპარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება საქართველოში 1921 წელს დამყარდა და არა აჯანყების შემდეგ. რეპრესიები კი საბჭოთა სისტემის თანამდევი მოვლენა იყო. ამის გარეშე საბჭოთა სახელმწიფო ვერ იარსებებდა. ისტორია ადასტურებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას რეპრესიების ჩასატარებლად მიზეზები მაინცდამაინც არ ჭირდებოდა. ჩვენთვის მიუღებელია თვალსაზრისი, რომ აჯანყებით ყოფილი შეძლებული ფენების ზოგიერთი წარმომადგენელი საკუთარი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობდა. მით უმეტეს როდესაც ამ „შეძლებული ფენების“ წარმომადგენლებად, მემამულეებთან და ვაჭრებთან ერთად, სამხედროები და სასულიერო პირები სახელდებიან. საინტერესოა ასეთი რა პრივილეგიები ქონდათ 1918-1921 წლებში თუნდაც ქართველ სამხედროებსა და სასულიერო პირებს? როდესაც საუბრობენ, რომ ქართულმა ინტელიგენციამ დაგმო აჯანყება, საფუძვლად იღებენ უნივერსიტეტის, მწერალთა კავშირისა და სხვ. ორგანიზაციების მიერ აჯანყების დამარცხების შემდეგ გამოქვეყნებულ მიმართვას. სადავო საკითხია თუ რამდენად გულწრფელად იყო დაწერილი ეს მიმართვა. ჩვენი აზრით, ეს მიმართვა გაკეთდა ამ ორგანიზაციების გადარჩენის მიზნით. საერთოდაც ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საბჭოთა პერიოდში შექმნილ დოკუმენტებს. გასათვალისწინებელია მათი შექმნის დრო, ავტორი, დანიშნულება და სხვ. არაა საწორი მიდგომა, რომ რაც იქ წერია ყველაფერი უტყუარ ჭეშმარიტებად მივიღოთ.

1924 წლის აჯანყება საკმაოდ ამომწურავად არის შესწავლილი ფაქტოლოგიის დონეზე. ვგულისხმობთ იმას, რომ თითქმის დეტალურად და საკმაოდ ზუსტად არის დადგენილი ვინ სად, როდის აჯანყდა. როგორ განვითარდა მოვლენები ცალკეულ რაიონებსა თუ მთელ საქართველოში. როგორი და რა სახის რეპრესიები გაატარა ხელისუფლებამ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ აჯანყების შესახებ ყველაფერი მეტ-ნაკლებად შესწავლილია.

მიხედავად ამისა, ჩვენი აზრით, სამუშაო კიდევ ბევრია. ე.წ. ფაქტოლოგიის დადგენით, რაც ცხადია აუცილებელი იყო დიდი საქმე გაკეთდა. შემდგომში საჭიროა კვლევის უფრო მაღალ საფეხურზე გადატანა. ვგულისხმობთ იმას, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ანალიზს. ეს

რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ანალიზი არ გაკეთებულა. თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც აჯანყების საკითხს შეეხო აკეთებს ანალიზსა და დასკვნებიც გამოაქვს, მაგრამ უფრო მეტია საჭირო.

მაგალითად ძალიან მცირედ და არასაკმარისადაა ან საერთოდ არაა გაანალიზებული საბრძოლო მოქმედებები აჯანყების მიმდინარეობის დროს. არაა გაცემული პასუხი კითხვებზე: რამდენად სწორად იყო დაგეგმილი სამხედრო მოქმედებების თავდაპირველი გეგმა? როგორი იყო ხელისუფლების სამხედრო ძალების რაოდენობა და დისლოკაციის ადგილები და ამის გათვალისწინებით რამდენად რეალური იყო თავდაპირველი გეგმა? რამდენად სწორი იყო უკვე აჯანყების მომენტში განხორციელებული სამხედრო ოპერაციები (მაგ. შეტევა მანგლისზე, ოზურგეთის აღების მცდელობა და სხვ.)? ხომ არ იყო შესაძლებლობა უკეთ წარმართულიყო საბრძოლო ოპერაციები და თუ კი რა სახით? სად, როდის და რატომ იქნა დაშვებული შეცდომები კონკრეტული საბრძოლო ოპერაციების წარმართვისას?

ჩვენი აზრით, სათანადოდ არაა გამოკვლეული და აქედან გამომდინარე არც გაანალიზებული საკითხი, თუ რამდენად მართებულია მოსაზრება, რომ აჯანყება მაინც მოხდებოდა სტიქიურად და ამიტომ ჯობდა მისთვის ეხელმძღვანელათ ვიდრე თვითდინებაზე მიეშვათ.

არის კიდევ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შემდგომ კვლევასა და შესწავლას საჭიროებს.

Михаил Бахтадзе – Оценка восстания 1924 года в современной грузинской историографии и направления возможных иследованый на будущее

Среди грузинских историков нет единного мнения как по вопросу о причин восстания, также по поводу оценки самого восстания. Существующие сегодня мнения о оценке восстания можно разделить на три групи. Первое – те историки которые считают, что несмотря на порожение восстание было важным и героическим явлением национально-освободительногодвижения и оставило нестираеми след в истории нашей страны. Второе – те иследователи, которые прямо или косвеноо говорят: что восстание было ошибкой, что после восстания ситуация ещё болше ухудшилась и акцентируют внимание не отрицательных последствиях . Третье – те автори, которые прямо говорят, что у восстания не было положительных моментов. В нём был элемент авантюризма и более или менее было инспирированно советской властю. После восстания ещё больше укрепилась советская власть. Многие вопросы требуют дальнейшего иследования. Например: Очень мало изучен и фактически не проанализирован вопросс о боевых действиях во время восстания (Начальный план, Численность и дислокация советских воиск, правилность конкретных боевых операцый, допущеные ошибки и прощоты и т.д.); Не достаточно иследованн вопрос о провомерности мнения, что восстание всё равно прозошлобы и было луще его возглавить и т.д.